ბატონებო მოგესალმებით,

ამ წერილით მინდა გამოვხატო ჩემი დაინტერესება - სსიპ "საპენსიო სააგენტო“ ს მიერ გამოცხადებული დირექტორის ვაკანტური პოზიციის შესახებ.

მოხარული ვიქნები შესაძლებლობის, საკუთარი წვლილი შევიტანო ქართული ეკონომიკისთვის ასე საჭირო საინვესტიციო მექანიზმის ამოქმედებაში, რომელიც - ერთის მხრივ უზრუნველყოფს ეკონომიკური აქტივობის გრძელვადიან განვითარებას, და მეორეს მხრივ საპენსიო ასაკის საქართველოს მოქალაქეების ღირსეულ სოციალურ დაცვას.

ვფიქრობ, რომ ჩემი საერთაშორისო განათლება - MBA, ბიზნესის მართვის მაგისტრი, კვალიფიკაციით სტრატეგია და კორპორაციული ფინანსები, რომელიც მინიჭებული მაქვს 2010 წელს მსოფლიოს მოწინავე ხუთეულში შესული IE Business School ის მიერ, 15 წელზე მეტი სამუშაო გამოცდილება ფინანსების მართვაში და სტრატეგიაში, მსხვილ ქართულ და საერთაშორისო კომპანიებში, დამატებით ღირებულებას შესძენს სსიპ "საპენსიო სააგენტო“ ს და უზრუნველყოფს საზოგადოების წინაშე არსებული მიზნების და ამოცანების მყისიერ გადაწყვეტას.

მოხარული ვიქნები სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან შეხვედრის, სადაც შევძლებ უკეთ წარმოვაჩინო საკუთარი შესაძლებლობები.

პატივისცემით,

ალექსანდრე მჭედლიშვილი, MBA